პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული და კომკავშირის კომიტეტების, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган ректората, парткома, профкома, месткома и комитета ЛКСМ Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 16 (77) | გამოცემის მესამე წელი | შაბათი, 24 აპრილი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

# ვ. ი. ლენინი — სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი

22 აპრილს შესრულდა გენიალური მოაზროვნის, კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და ბელადის, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებლისა და მეგობრის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 84 წლისთავი.

ვ. ი. ლენინის სახელს სიყვარულით წარმოთქვამენ მსოფლიოს ხალხთა ყველა ენაზე. ლენინის მოძღვრება უკვდავია. ყველა ქვეყნის მშრომელთა დროშაა მშვიდობისა, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ვ. ი. ლენინი პროლეტარული რევოლუციის უდიდესი გენიოსი და სტრატეგია. ახალ ისტორიულ პირობებში მან მრავალრიცხოვანი მტრების წინაალმდეგ სასტიკ ბრძოლაში არა მარტო დაიცვა მარქს-ენგელსის მოძღვრება, არამედ აგრეთვე შემოქმედებითად განავითარა და გაამდიდრა იგი. პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებით, მარქსიზმი აიყვანა ახალ, უმაღლეს საფეხურზე.

მარქს-ენგელსის საქმის დიდმა განმგრძობმა ვ. ი. ლენინმა შექმნა კომუნისტური პარტია, შეიმუშავა მისი იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლები, გადააქცია ის მსოფლიოში ყველაზე მძლავრ რევოლუციურ პარტიად, რომელიც განასახიერებს ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს. გენიალური ვ. ი. ლენინის, ლენინის მოწაფისა და მისი საქმის განმგრძობის დიდი ი. ბ. სტალინისა და მათი თანამებრძოლების ხელმძღვანელობით ბრძოლებში გამოწრთობილი კომუნისტური პარტია ამჟამად წამყვანი, მაორგანიზებელი და წარმმართველი ძალაა საბჭოთა საზოგადოებისა, რომელიც კომუნიზმს აშენებს.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა სოციალისტური რევოლუციის ახალი დასრულებული თეორია, თეორია რომ სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია თავდაპირველად რამდენიმე ან ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაშიც კი. ამ მეცნიერულმა აღმოჩენამ მუშათა კლასს, მშრომელ მასებს მისცა იმპერიალიზმის პირობებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ნათელი პერსპექტივა.

ვ. ი. ლენინის უდიდესი ისტორიული დამსახურებაა საბჭოების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმის აღმოჩენა. ლენინის ამ გენიალურ იდეას, რომელმაც გაამდიდრა მარქსისტული თეორია, ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა 1917 წლის ოქტომბერში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უზრუნველსაყოფად, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

„რევოლუციური კლასების ხალხურ შემოქმედებას რომ საბჭოები არ შეექმნა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — პროლეტარული რევოლუცია რუსეთში უიმედო საქმე იქნებოდა, რადგან ძველი აპარატით პროლეტარიატი, უეჭველად, ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებდა, ხოლო ახალი აპარატის ერთბაშად შექმნა შეუძლებელია“. (თხზულებანი, ტ. 26, გვ. 107).

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა და განმტკიცება განუყრელადაა დაკავშირებული ლენინის სახელთან. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ახალი, უმაღლესი ტიპის სახელმწიფოს შექმნა მსოფლიოს ისტორიის ძირეული რევოლუციური მობრუნება იყო, დამთავრდა ექსპლუატატორი კლასების ბატონობის ეპოქა, დაიწყო მუშათა კლასის, მშრომელთა ბატონობის ეპოქა — პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქა.

1922 წლის დეკემბერში, ვ. ი. ლენინის წინადადებით შეიქმნა საბჭოთა ხალხების ნებაყოფლობითი გაერთიანება — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ამან კიდევ უფრო განამტკიცა ხალხთა ძმური თანამშრომლობა, პროლეტარიატის დიქტატურა, პრაქტიკულად დადასტურდა, რომ კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკა სწორია.

ვ. ი. ლენინმა, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს



მტკიცე საფუძვლების ჩაყრასთან ერთად, შეიმუშავა მისი ორგანიზაციის პრინციპები, განსაზღვრა მისი როლი ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნაში. მან შეიმუშავა ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთის მოწინავე, მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გარდაქმნის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. ეს პროგრამა ითვალისწინებდა ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას, მძიმე მრეწველობის ყოველმხრივ განვითარებას, მთელი სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციას, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნის კოოპერაციული გეგმის განხორციელებას, კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი სახელმწიფო წყობილების სიმტკიცისა და უძლეველობის საფუძველია მუშათა და გლეხთა კავშირი. კომუნისტური პარტია ასრულებს ლენინის ანდერძს, დაუცხრომლად განამტკიცებს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს — სოციალისტური სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველს, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანეს პირობას.

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პირველმა კაცობრიობის ისტორიაში ააშენა ახალი საზოგადოებრივი წყობილება — სოციალიზმი და შევიდა კომუნისტური საზოგადოების თანდათანობით აშენების პერიოდში. სოციალიზმის ეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი აღბეჭდილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციაში. სოციალიზმის გამარჯვების ბაზაზე გაიშალა საბჭოთა საზოგადოების მძლავრი მამოძრავებელი ძალები — საბჭოთა კავშირის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა და მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი.

დიდი სასიცოცხლო ძალა და უძლეველობა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოსი, რომელიც ლენინიზმის იდეათა ცოცხალი განსახიერებაა, გამოცდილი და შემოწმებულია როგორც მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტზე, ისე საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. გმირმა საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების დაუშრეტელ ძალასა და სიმძლავრეზე დაყრდნობით მოიპოვა ისტორიული გამარჯვება ფაშისტ დამპყრობლებზე. მან კაცობრიობა იხსნა ფაშისტური ტირანიისაგან, ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ხალხებს დაეხმარა, რომ გადაეგდოთ კაპიტალისტური მონობის უღელი და დასდგომოდნენ დემოკრატიისა და სოციალიზმის გზას. ამჟამად სოციალიზმის მძლავრ ბანაკში, რომლის სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, არიან ქვეყნები, რომელთა მოსახლეობა შეადგენს 800 მილიონ კაცს — კაცობრიობის ერთ მესამედს.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც შექმნილია ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, ძალღონით აღსავსეა და ეკონომიკისა და კულტურის მძლავრ აღმავლობას განიცდის. ახორციელებს რა ამოცანებს, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა ახალი გამარჯვებანი. 1953 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობამ ომამდელ — 1940 წლის დონეს ორნახევარჯერ გადააჭარბა. განსაკუთრებით დიდი წარმატებანია მოპოვებული მძიმე მრეწველობის განვითარებაში, მძიმე მრეწველობისა, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის აყვავებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საფუძველია.

მძიმე მრეწველობის განვითარებაში მოპოვებულმა წარმატებებმა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას საშუალება მისცეს, დაესახათ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის სწრაფი განვითარების ფართო პროგრამა, რათა ორი-სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად აემაღლოთ მასობრივი მოხმარების საგნებით და სამრეწველო საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფა.

უზარმაზარი მიღწევებია აგრეთვე სოფლის მეურნეობაში. მთლიანად აღდგენილია ომის პერიოდში დანგრეული კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები, გადაჭარბებულია ნათესი ფართობებისა და ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ომამდელი დონე. ჩვენს ქვეყანაში შექმნილ მძლავრ, ყოველმხრივ განვითარებულ მძიმე მრეწველობაზე დაყრდნობით სოციალისტური სოფლის მეურნეობა ამჟამად წყვეტს ახალ პასუხსაგებ ამოცანებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში შემუშავებულია სოციალისტური სოფლის მეურნეობის, პირველ რიგში, მეცხოველეობის, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების სწრაფი განვითარების საბრძოლო, კონკრეტული პროგრამა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვლის პლენუმმა ჩვენს ქვეყანას დაუსახა უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა — კიდევ უფრო გადიდდეს მარცვლეულის წარმოება და ათვისებულ იქნეს ყამირი და ნასვენი მიწები. ყველა ეს გადაწყვეტილება გამსჭვალულია კომუნისტური პარტიის დიდი ზრუნვით ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის. მათ მხურვალედ იწონებს და მხარს უჭერს ყველა საბჭოთა ადამიანი. ეს გადაწყვეტილებანი წარმატებით ხორციელდება.

დიდი ლენინი გვასწავლიდა, რომ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძალა და უძლეველობა ის არის, რომ იგი ხალხმა შექმნა და თვით ხალხი მართავს მას, რომ საბჭოთა ხელისუფლება თვით მშრომელთა ხელისუფლებაა. სოციალისტური დემოკრატია უზრუნველყოფს მშრომელი მასების ფართო და აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში.

სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვებას თვალნათლივ მოწმობს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელი არჩევნები. კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკმა ამ არჩევნებში სრული და განუყოფელი გამარჯვება მოიპოვა. კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 99 პროცენტზე მეტმა.

ვ. ი. ლენინმა გვიანდერძა, ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო — უდიდესი ძალა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, პარტიისა და ხალხის უძლიერესი იარაღი კომუნიზმის მშენებლობის შემოქმედებითს მუშაობაში. ჩვენი სახელმწიფოს სიძლიერის დაუღალავი განმტკიცება ყველა საბჭოთა ადამიანის წმინდა მოვალეობაა.

საბჭოთა ხალხს წილად ხვდა დიდი ბედნიერება — დაეწყო მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობა და ამით დაეწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ოცდათექვსმეტი წელი უდავოდ და თვალნათლივ გვიჩვენებს მის აშკარა უპირატესობას კაპიტალისტური სახელმწიფოს წინაშე. ყველაფერი, რაც შეადგენს ყოველი საბჭოთა ადამიანის კანონიერი სიამაყის საგანს, ყველაფერი, რითაც ძლიერია ჩვენი სამშობლო, — ყველაფერი ეს არის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგი, კომუნისტური პარტიისა, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში განუხრელად და თანმიმდევრულად მიდის ლენინის გზით. ეს არის ლენინის ანდერძის შესრულების შედეგი, ლენინიზმის იდეების გამარჯვება, გმირი საბჭოთა ხალხის მრავალწლიანი შემოქმედებითი შრომის შედეგი.

ა. ტიურინი.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები 21 აპრილს კრემლში

(დასასრული)

...კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ადამიანები, ამბობს დეპუტატი კაპიტონოვი, ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

ტრიბუნაზეა დეპუტატი ი. დ. მუსტაფაევი. საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფო, ამბობს იგი, ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფოა, სადაც ხელისუფლება მშრომელებს ეკუთვნით, სადაც მუშათა და გლეხთა კავშირი ურყევია, სადაც გამარჯვებულია ხალხთა და ერთა თანასწორობის იდეოლოგია.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის ურღვევი პრინციპია, ამბობს იგი, ყოველი, დიდი თუ მცირე ქვეყნის ეროვნული თავისუფლებისა და სუვერენიტეტის პატივისცემა. საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკას, ავითარებს თანამშრომლობასა და საქმიან ურთიერთობას იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც თავის მხრივ ამას ესწრაფვიან.

დეპუტატი მუსტაფაევი მხარს უჭერს წინადადებას, რომ მოწონებულ იქნას მთავრობის საქმიანობა და დაევალოს ამხანაგ მალენკოვს, წარმოუდგინოს უმაღლეს საბჭოს წინადადებანი მთავრობის შემადგენლობის შესახებ.

უმაღლესი საბჭო ერთხმად იღებს შემდეგ დადგენილებას:

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო იღებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მთავრობა იხსნის თავის რწმუნებებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე, იწონებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმიანობას და ავალებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვს წარმოუდგინოს უმაღლეს საბჭოს წინადადებანი სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობის შესახებ.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განაგრძოს თავის მოვალეობათა შესრულება მანამდე, სანამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეს სესია დაამტკიცებს სსრ კავშირის მთავრობის ახალ შემადგენლობას.

ამით მთავრდება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის განცხადების გამო

მიღებულია კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1954 წლის 21 აპრილის გაერთიანებულ სხდომაზე

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო იღებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მთავრობა იხსნის თავის რწმუნებებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე, იწონებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმიანობას და ავალებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე **მალენკოვს** წარმოუდგინოს უმაღლეს საბჭოს წინადადებანი სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობის შესახებ.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, განაგრძოს თავის მოვალეობათა შესრულება მანამდე, სანამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეს სესია დაამტკიცებს სსრ კავშირის მთავრობის ახალ შემადგენლობას.

კომკავშირული ცხოვრება

# ეკონომიური ფაკულტეტის კომკავშირულ კრებაზე

ამას წინათ ეკონომიკის ფაკულტეტზე შედგა ალკკ ორგანიზაციის ღია კრება, რომელზედაც განხილულ იქნა საკავშირო ალკკ XII ყრილობის შედეგები.

კრებამ ნათელყო, რომ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ იმ ნაკლოვანებათაგან, რომლებიც ყრილობაზე იყო აღნიშნული, არც ეკონომიკის ფაკულტეტის ორგანიზაციაა დაზღვეული.

ფაკულტეტზე შეიმჩნევა კომკავშირელთა მიერ დისციპლინის დარღვევის ფაქტები, ადგილი აქვს სტუდენტთა მიერ ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევებს, რიგი სტუდენტებისა პოლიტიკური მომზადების დაბალ დონეს ავლენს, ფაკულტეტზე ღლემდე არიან აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტები. მნიშვნელოვნად მოისუსტებს კულტმასობრივი მუშაობა.

მომხსენებელმა—ეკონომიკის ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანმა ამხ. ლ. ჯოხაძემ მკაფიოდ და შინაარსიანად გააშუქა საკავშირო ალკკ XII ყრილობის შედეგები, დაუკავშირა ფაკულტეტის ცხოვრებას და მიუთითა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ფაკულტეტის ალკკ ორგანიზაციის მუშაობაში შეიმჩნევა; მაგრამ მოხსენებაში ნაკლები ყურადღება ჰქონდა დათმობილი ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებს, თითქმის არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ რა კონკრეტული ღონისძიებების გატარებით აპირებს ორგანიზაცია ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებას.

კამათში გამოსულებმა სამართლიანად აღნიშნეს, რომ სტუდენტთა მიერ ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენის ფაქტებში ნაკლებად არის დაინტერესებული ზოგიერთი ლექტორი.

კრებაზე სამართლიანად უსაყვედურეს სტუდენტთა პროფკომს და ალკკ კომიტეტს, რომლებიც სტუდენტებს აძლევენ, შეიძინონ ბილეთები ამა თუ იმ სპექტაკლზე მათი მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად შედგენილი გეგმის მიხედვით.

შეინიშნებოდა, რომ მოხსენების ირგვლივ გამლილ კამათში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ კურსმდგომის მდივნებმა და ერთმა ჯგუფორგმა; მათ კი, რომლებიც მომხსენებელმა ახსენა, როგორც დისციპლინის დამრღვევნი და ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გამცდენნი, კამათში მონაწილეობის მეგნებულად აარიდეს თავი.

**ნ. ბეთანელი**

# კარგი მუშაობის შედეგი

ეკონომიკის ფაკულტეტის III კურსის სტატისტიკის სპეციალობის ჯგუფის სტუდენტებმა წელს მესამედ დაწერეს საკურსო შრომები პოლიტიკურ ეკონომიაში. სტუდენტთა მიერ საკურსო შრომების დაწერისა და დაცვის გამოცდილებამ ცხადყო, რომ მუშაობის ეს სახე წარმოადგენს სასწავლო წლის პერიოდში შესწავლილი საგნის შეთვისებისა და დაუფლების შემოწმების საუკეთესო საშუალებას, რომ იგი ხელს უწყობს სტუდენტთა თეორიული ცოდნის დონის ამაღლებასა და დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების შემუშავებას.

ჯგუფს საკურსო შრომების თემატიკა გადაეცა I სემესტრშივე, ხოლო საკურსო შრომების დაცვის დროდ 19—20 აპრილი დაინიშნა.

საკურსო შრომების დაცვის კომისია (თავმჯდომარე დოც. ო. ტატიშვილი) კმაყოფილი დარჩა სტუდენტთა კარგი მუშაობის შედეგებით. 17 სტუდენტიდან 15-მა ნიშანი „ფრიადი" დაიმსახურა, ორმა კი—„კარგი". კარგი თეორიული და პოლიტიკური მომზადება, თემის ღრმა ცოდნა და დამოუკიდებელი კვლევის უნარი გამოიჩინეს სტუდენტებმა ზ. სულთანიშვილმა, თ. ნინუაშვილმა, გ. სტაავაძემ, შ. მჭედლიშვილმა, ც. ელიაძემ და სხვებმა.

ახლა ამ ჯგუფის სტუდენტები მომავალი სასესიო გამოცდებისათვის ემზადებიან.

**ქ. ელიზბარაშვილი**



**სურათზე:** ბიოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის ფრიადოსანი სტუდენტები ნ. გზირიშვილი და ე. გოცირიძე მეცადინეობენ ხერხემლიანთა ზოოლოგიის დიდი პრაქტიკუმის ჩასათვლელად. ფოტო გ. გიორგაძისა

# ზოგიერთი შენიშვნა

## სტუდენტთა XVI სამეცნიერო კონფერენციის შესახებ

სტუდენტთა XVI სამეცნიერო კონფერენცია დამთავრდა. შედეგები დაჯამდა. ვფიქრობთ, ახლა უკვე შეიძლება კრიტიკული თვალით გადავხედოთ განვლილ კონფერენციას, გავითვალისწინოთ ზოგიერთი ნაკლოვანება, რომელიც ამ კონფერენციის მუშაობას ახასიათებდა და მომავალში, სასურველია, აღარ განმეორდეს.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები უეჭველად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებაში, იგი უღვივებს სტუდენტობას მეცნიერული კვლევა-ძიების ხალისს, წვრთნის მას მეცნიერების ძლდოვან ბილიკებზე ასასვლელად.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა XVI სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში ტარტუსა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობამ გაზარდა ამ კონფერენციის მნიშვნელობა და ინტერესი (თავის მხრივ, ჩვენმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ლენინგრადის, ვილნიუსის, ტარტუსა და ერევნის უნივერსიტეტების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში). კონფერენციაზე დადებითად იმოქმედა აგრეთვე იმან, რომ შესუსტდა მოხსენებათა რაოდენობრივი ზრდისადმი გამოდევნების ტენდენცია. გაუმჯობესდა ზოგიერთი სექციის მუშაობის ხარისხი. ეს ითქმის კერძოდ მარქსიზმ-ლენინიზმის სექციაზე, სადაც წინ უმთავრესად რეფერატები იკითხებოდა და მათ მიმართ ინტერესიც ნაკლები იყო. წელს კი წარმოდგენილ მოხსენებებს კვლევითი ხასიათი ჰქონდა, თემატიკა აქტუალური იყო, პროფესორ-მასწავლებელთა დასწრებაც—კარგი, და ყოველივე ამან სტუდენტთა დაინტერესება კიდევ უფრო გაზარდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სექციაში თითო დღეს მხოლოდ 2-2 მოხსენება იკითხებოდა, რაც კამათის ნორმალური წარმოების საშუალებას იძლეოდა.

მაგრამ ყველა სექციაზე როდი ითქმება ასე, და საერთოდაც, კონფერენციას მრავალი ნაკლი ჰქონდა, რომლებზედაც გვსურს ყურადღება გავამახვილოთ.

სხდომათა უმრავლესობას სექციებში 30—40 კაცი ესწრებოდა, ე. ი. კონფერენციამ სათანადოდ ვერ მიიზიდა სტუდენტთა მასა, ასევე სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები. საკითხავია,—რატომ? გასულ წელს ამგვარი მდგომარეობა იმით ახსნეს, რომ კონფერენცია და სპარტაკიადა ერთდროულად მიმდინარეობდა. წელს ხომ აღარ ყოფილა ასე!

საქმე იმაშია, რომ კონფერენციაზე უნდა იკითხებოდეს მხოლოდ წინასწარ შერჩეული საუკეთესო მოხსენებები, რომლებიც მეცნიერული კვლევის ელემენტებს მაინც შეიცავენ და საინტერესო შედეგებს გვაწვდიან. რეფერატი კონფერენციაზე იშვიათად უნდა იკითხებოდეს და ისიც მაშინ, თუ იგი კარგადაა დამუშავებული, საკითხებს თანმიმდევრულად და გასაგებად გადმოგვცემს და გამართული ენითაა დაწერილი. რა თქმა უნდა, ვერავინ იტყვის, რომ სტუდენტთა XVI სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული ყველა მოხსენება აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს. ეს კი ისევ მოხსენებათა რაოდენობით გატაცების ბრალია, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, გასულ წლებთან შედარებით წელს ეს გატაცება ნაკლები იყო, წინა კონფერენციასთან შედარებით მოხსენებათა რიცხვი შემცირდა, მაგრამ დიდად არა. ამან გამოიწვია ის, რომ აუცილებელი გახდა კონფერენციის დაყოფა მრავალ სექციად და ცალკეულ შემთხვევაში—ქვესექციებადაც კი. ბევრი სექციის თითო სხდომაზე იკითხებოდა 4-5 მოხსენება და ა. შ. კონფერენციაზე იმდენი სექცია იყო გამოყოფილი, რომ ერთდროულად ჩატარებულ საფაკულტეტო ან საკათედრო კონფერენციებს მოგვაგონებდა. ჩვენი აზრით კი, საუნივერსიტეტო კონფერენციას, სხვათა შორის, ის მნიშვნელობაც აქვს, რომ მან მონათესავე ფაკულტეტების სტუდენტთა მეცნიერული მუშაობის ურთიერთგაცნობას შეუწყოს ხელი. რატომ უნდა იკითხებოდეს, მაგალითად, მოხსენებები ენათმეცნიერების საკითხებზე აღმოსავლეთმცოდნეობის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის და სხვა სექციებში, როცა არსებობს აგრეთვე ენათმეცნიერების სექცია? გამოდის, რომ ენათმეცნიერების სექცია იყო მხოლოდ ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული განყოფილებისათვის, ხოლო ამ ფაკულტეტის სტუდენტებს თითქოს არ აინტერესებდათ ის საენათმეცნიერო საკითხები, რაზედაც მოხსენებებს კითხულობდნენ, მაგალითად, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები. ანდა პირიქით, განა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებს, რომლებიც აღმოსავლური და ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე კითხულობენ მოხსენებებს, არ აინტერესებთ ფილოლოგი ამხანაგების აზრი? ასევე ითქმის აღმოსავლეთის ისტორიის საკითხებზე, რომლებსაც ეხებოდა აღმოსავლეთმცოდნეობის სექციაში წაკითხული მოხსენებები და მოწყვეტილი იყო ისტორიის სექციას. თვითონ ისტორიის სექცია დაყოფილი იყო ორ ქვესექციად და მოხსენებები მათ შორის ყოვლად შეუსაბამოდ იყო განაწილებული. ეს იმიტომ მოხდა, რომ ანგარიში გაუწიეს არა მოხსენებათა თემატიკას, არამედ იმას, თუ რომელი კათედრის წევრთა ხელმძღვანელობით დამუშავდა ესა თუ ის მოხსენება.

ჩვენი აზრით, სექციათა რაოდენობა მომავალში უნდა შემცირდეს. ეს გამოიწვევს მოხსენებათა რაოდენობის შემცირებასაც, მაგრამ ხარისხის სასარგებლოდ. მაშინ კონფერენციებზე გამოტანილი იქნება მხოლოდ შერჩეული, საუკეთესოთა შორის საუკეთესო მოხსენებები. ეს გაზრდის კონფერენციის როლს, მის მნიშვნელობას. კონფერენციაზე მოხსენების გატანა უკვე თავისთავად უნდა ნიშნავდეს მის მაღალ შეფასებას, იგი უნდა ახარებდეს და აამაყებდეს სტუდენტს, თორემ რა გამოვიდა: წრეში რამდენი მოხსენებაც იქნება წაკითხული, ყველა რომ კონფერენციაზეც მოვისმინოთ, რა სარგებლობას მოგვიტანს ეს?! ჩვენთან კი ზოგჯერ უარესიც ხდება: ზოგ სტუდენტს ჯერ მოხსენებაც არ დაუწერია და უკვე წარმოდგენილი აქვს თეზისები—აქაო და კონფერენციამდე მოხსენების დაწერასაც მოვასწრებო. როგორ შეიძლება, ჯერ მეცნიერული მუშაობის შედეგები მივიღოთ და შემდეგ ვეძიოთ ეს შედეგები, რას მოგვცემს ამგვარი თეზისები?—ცხადია, ვერაფერს!—და ეს კარგად ემჩნევა ზოგიერთ თეზისს (ისიც უნდა ითქვას, რომ ზოჯერ სტუდენტები უკვე დაწერილი მოხსენების თეზისების ჩამოყალიბებასაც ვერ ახერხებენ. ამ მხრივ XVI კონფერენციის თეზისებში დიდი სიჭრელეა).

ყოველივე ეს სტუდენტობას უქმნის ყალბ წარმოდგენას მეცნიერულ-შემოქმედებით შრომაზე, აჩვევს იოლი გზით სიარულს, ხალტურას, რასაც მეცნიერება ვერ იტანს.

დასასრულ, კიდევ ერთი ნაკლი: მომხსენებლები და მოკამათენი ძალიან შეზღუდული იყვნენ დროით. ლექციების შემდეგ ორ საათში 4-5 მოხსენების მოსმენა და მათ შესახებ კამათი ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა, მომხსენებლებს ზოგჯერ აჩქარებდნენ, შეკითხვებსა და კამათის გაშლას ერიდებოდნენ. ყოველივე ეს, რასაკვირველია, უარყოფითად მოქმედებდა. სასურველია, მომავალში ერთ სხდომაზე არ დაინიშნოს სამ მოხსენებაზე მეტი მაინც.

ყოველივე ამის გათვალისწინება, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტთა მეცნიერული მუშაობის გაუმჯობესებას.

**ზ. ჟუმბურიძე.**

# პროფესორი იუსტინე აბულაძე

## (დაბადებიდან 80 წლისთავის შესრულების გამო)

ჩვენი ფართო საზოგადოება ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია იცნობს ქართული კულტურის თავდადებულ მოღვაწეს, „ვეფხის-ტყაოსნისა“ და „შაჰ-ნამეს“ ცნობილ მკვლევარს, პირველ ქართველ მეცნიერ-ირანისტს, ძველ პედაგოგსა და თბილისის უნივერსიტეტის უხუცეს მუშაკს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ იუსტინე ირაკლის-ძე აბულაძეს, რომელიც თავისი სიცოცხლის ოთხმოცი წლის მანძილზე ორმოცდაათ წელზე მეტია, რაც დაუცხრომელი ენერგიით, ინტერესითა და სიყვარულით ემსახურება ახალგაზრდობის აღზრდის, ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლისა და ორიენტალისტიკის განვითარების საქმეს.

პროფ. იუსტინე აბულაძე დაიბადა 1874 წელს 18 აპრილს (ძვ. სტილით 5-ს), სოფელ როკითში (ამჟამად მაიაკოვსკის რაიონში), სოფლისმეურნის ოჯახში. 1896 წელს დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და იმავე წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ-სპარსულ განყოფილებაზე, სადაც კურსი დაასრულა 1900 წელს პირველი ხარისხის დიპლომით. ამის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და ქ. თბილისში ოცი წლის განმავლობაში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად კომერციულ და სახელოსნო სასწავლებლებში, შემდეგ ქართულ გიმნაზიაში. ფართო ორიენტალისტური განათლების მქონე, ნიჭით ალსავსე და მეცნიერებით დაინტერესებული ახალგაზრდა იუსტინე აბულაძისათვის სხვა ასპარეზი მაშინ ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო. 1902 წელს იუსტ. აბულაძემ იმოგზაურა შუა აზიაში (ტაშკენტში, ბუხარასა და სამარყანდში) ძველი ირანული ძეგლების შესწავლა-გაცნობისა და სპარსულ-ტაჯიკურ ენებზე დაკვირვების მიზნით. 1903 წელს იგი გაემგზავრა უცხოეთში, სადაც ვენის, ბერლინისა და პარიზის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში ეცნობოდა მანამდე მისთვის ხელმიუწვდომელ ლიტერატურასა და პირველ წყაროებს. ამავე წლის ბოლოს დაბრუნდა იგი საქართველოში და მეცნიერული მუშაობისათვის ყოველმხრივ შეიარაღებულმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ, რომელსაც გავლილი ჰქონდა სახელოვანი ტრადიციების მქონე დიდი რუსული ორიენტალისტური სკოლა პეტერბურგის უნივერსიტეტში, უშუალოდ იყო გაცნობილი აღმოსავლეთს და შესწავლილი ჰქონდა უცხოეთში არსებული წყაროებიც, მაშინდელი პირობებისდა მიხედვით ხელი მოჰკიდა მეცნიერულ მუშაობას საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებაში, რომელიც დაარსებული იქნა 1907 წელს. ამავე დროს იუსტ. აბულაძე ითვლებოდა მუდმივ წევრად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, რომლის მიერაც იგი 1914 წელს



პრემირებული იქნა „ვეფხის-ტყაოსნის“ საუკეთესო გამოცემისათვის. 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთანავე იუსტინე აბულაძე მიწვეული იქნა სპარსული ენის ლექტორად. 1927 წელს იგი დამტკიცებული იქნა დოცენტად, ხოლო 1930 წელს მას ირჩევენ პროფესორად. 1938 წელს, შრომების საფუძველზე, დისერტაციის დაუცველად, უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ პროფ. იუსტ. აბულაძეს მიანიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1943 წელს საქართველოს მთავრობამ, გაითვალისწინა რა პროფ. იუსტ. აბულაძის მეცნიერული მუშაობის ღვაწლი, მას მიანიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. 1940 წლიდან პროფ. იუსტ. აბულაძე ხელმძღვანელობდა ირანოლოგიის კათედრას. 1933 წლიდან 1938 წლამდე განაგებდა რუსთველოლოგიის სექციას შოთა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში. დიდი მუშაობა ჩაატარა მან „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენ კომისიაში. მას ეკუთვნის რუსთველის უკვდავი პოემის ორი გამოცემა 1914 წელს და 1926 წელს. იუსტ. აბულაძის ამ გამოცემებს დღემდე საპატიო ადგილი უჭირავს რუსთველოლოგიაში. იუსტინე აბულაძე დღესაც, 80 წლის ასაკში, ინტენსიურად მუშაობს ამ ტექსტის დადგენისათვის. ხოლო მის მიერ შედგენილი „ვეფხის ტყაოსნის“ ლექსიკონი დღემდე ერთ-ერთ საუკეთესო ლექსიკონად ითვლება.

პროფესორ იუსტ. აბულაძეს დიდი და მნიშვნელოვანი შრომა აქვს გაწეული ფირდოუსის უკვდავი პოემის „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების კვლევის საქმეში.

მაგრამ პროფ. იუსტ. აბულაძის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკაა არა მარტო სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა და რუსთველოლოგიაა, არამედ სპარსული ენა და ლიტერატურაც: მას ეკუთვნის სპარსული ენის პირველი მეცნიერულად შედგენილი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, ორჯერ გამოცემული; იგი მუშაობს ამჟამად სპარსული ლიტერატურის ისტორიის კურსის შედგენაზე.

დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფ. იუსტინე აბულაძეს ქართული ორიენტალისტური სკოლის შექმნისა და ჩამოყალიბების საქმეში. თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისთანავე, 1918 წლიდან, იგი პროფ. აკ. შანიძესთან, პროფ. გ. ახვლედიანთან და განსვენებულ ივ. ჯავახიშვილთან ერთად, საფუძველს უყრიდა ამ, ქართველოლოგიისათვის განსაკუთრებით საჭირო და მნიშვნელოვან დარგს, ილწვოდა მისი ზრდა-განმტკიცებისათვის, რამაც მეცნიერებისათვის საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვის პირობებში იმდენად ბრწყინვალე შედეგი გამოიღო, რომ შეიქმნა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი თბილისის უნივერსიტეტში.

პროფ. ი. აბულაძე ფართო განათლების მქონეა. მისი სამეცნიერო მუშაობის თემატიკა, როგორც აღვნიშნეთ, მრავალფეროვანია: მისი შრომა საქმიანია და ნაყოფიერი. მის კალამს 100-ზე მეტი ნაშრომი ეკუთვნის. ამასთან ერთად, პროფ. იუსტ. აბულაძეს, მიუხედავად 80 წლის ასაკისა, შრომის დიდი ხალისი დღემდე არ შენელებია. სამამულო ომის მძიმე წლებში იგი დაუღალავად შრომობდა სამშობლოს საკეთილდღეოდ თავის უბანზე, რაც მთავრობის ჯილდოთიც აღინიშნა. იგი დაჯილდოვებული იქნა მედლით „მამაცური შრომისათვის“. 1948 წელს, 74 წლის ასაკში, იგი სკკ პარტიის რიგებში წევიდა, რათა კიდევ მეტი გაეკეთებინა სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოდ.

უდავოდ, პროფ. იუსტინე აბულაძის ცოდნა, უნარი, საქმისადმი დამოკიდებულება, მეცნიერების სიყვარული, შრომა და სამშობლოსა და პარტიისადმი ერთგულება მისაბაძია ჩვენი სტუდენტობისა და ახალგაზრდობისათვის.

დოც. ქ. ფალავა



სტუდენტთა მეხუთე სპარტაკიადაზე დასასრულს უახლოვდება საფაკულტეტო გუნდური შეჯიბრება ჭადრაკში. მოჭადრაკე სტუდენტები იბრძვიან თავიანთი ფაკულტეტების სპორტული ღირსების დასაცავად.

**სურათზე** — წინა პლანზე (მარჯვნიდან მარცხნივ), ა. ზალდასტანიშვილი (აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი) და მ. ლომინაძე (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი) ფინალური შეხვედრის დროს.

ფოტო **ლ. ჭილაშვილისა**

# ასპირანტთა VII სამეცნიერო კონფერენცია

26 აპრილს, დღის 2 საათზე, № 86 აუდიტორიაში (I კორპუსი) იხსნება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ასპირანტთა VII სამეცნიერო კონფერენცია.**

პლენარული სხდომები დანიშნულია 26 და 30 აპრილს, დღის 2 საათზე, № 86 აუდიტორიაში. პირველი პლენარული სხდომის შემდეგ სამეცნიერო კონფერენცია მუშაობას განაგრძობს სექციებში. სახელდობრ, იმუშავებენ:

**საბუნებისმეტყველო და მათემატიკურ მეცნიერებათა სექცია** — 26, 27, 28 აპრილს, დღის 3 საათზე, № 92 აუდიტორიაში (II კორპუსი);

**ისტორიის, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის სექცია** — 26, 27, 28, 29 აპრილს, დღის 3 საათზე, № 86 აუდიტორიაში (I კორპუსი);

**ფილოლოგიის სექცია** — 26, 27, 28, 29 აპრილს, დღის 3 საათზე, № 107 აუდიტორიაში (I კორპუსი).

# ექსკურსია საგურამოში

18 აპრილს ჩვენი უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტთან არსებული მომხსენებელთა ჯგუფის წევრები ვეწვიეთ საგურამოს. ექსკურსიის მიზანი იყო დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დათვალიერება. ინტერესით გავეცანით ილიას კარმიდამოს, სახლს, სამუშაო ოთახს, სადაც დიდი ქართველი მწერალი წერდა თავის ნაწარმოებებს. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ილიას ცხოვრებასთან დაკავშირებულმა ნივთებმა, ძველმა ჟურნალ-გაზეთებმა, რომელთა მეშვეობითაც მთელს ქართველ ხალხს ელაპარაკებოდა ჩვენი სასიქადულო მწერალი.

ილიას სახლ-მუზეუმის ერთ-ერთ ოთახში ვნახეთ ის ტყვია, რომლითაც განგმირეს რეაქციონერებმა ამ დიდი ადამიანისა და მოქალაქის შუბლი.

უკან დაბრუნებისას ვიხილეთ ის ადგილიც, სადაც ეს საზარელი მკვლელობა მოხდა.

ექსკურსიამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა თვითეულ ჩვენგანზე.

**ბ. ჯიჯიეიშვილი,**
**ფ. კავთიაშვილი.**

# კათედრის ღია სხდომაზე

შაბათს, 17 აპრილს შედგა სპარსული ფილოლოგიის კათედრის ღია სხდომა, რომელზედაც კათედრის ლაბორანტმა ა. გვახარიამ წაიკითხა მოხსენება — „პროგრესული ირანელი მწერალი სადეყ ჰედაიათი“.

თემა ეხებოდა თაანმედროვე სპარსული ლიტერატურის პროგრესული ნაკადის ერთ გამოჩენილ წარმომადგენელს, პროზაიკოს სადეყ ჰედაიათს (1902—1951), მასში განხილული იყო ამ მწერლის ბიოგრაფიის ძირითადი მომენტები და შემოქმედების მთავარი ხაზი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს დოც. ქ. ფალავამ, უფროსმა მასწავლებელმა გ. თოლუამ, ასპირანტმა თ. კეშელავამ. მათ მოიწონეს მოხსენება, მიუთითეს ზოგ ნაკლოვანებაზე, აღნიშნეს თემის აქტუალობა და სიახლე.

კათედრის გამგემ პროფ. დ. კობიძემ ხაზი გაუსვა, რომ კათედრა თავის მუშაობაში ითვალისწინებს თანამედროვე სპარსული ლიტერატურის საკითხებსაც.

# სტუდენტთა მხატვრული თვითშემოქმედებითი წრეების მუშაობის შესახებ

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტების კულტურულ აღზრდას. ყოველდღიურად ზრუნავს იმისათვის, რომ ახალგაზრდა იყოს არა მარტო ვიწრო სპეციალისტი, არამედ კარგად ერკვეოდეს ხელოვნებაში, მუსიკაში, ლიტერატურაში და სხვ. ფართო დიაპაზონის მქონე სპეციალისტების აღზრდაში ჩვენ დიდ დახმარებას გვიწევს მხატვრული თვითშემოქმედებითი წრეები.

ჩვენი უნივერსიტეტი სამართლიანად ამაყობდა და ამაყობს თავისი კარგი ტრადიციებით სტუდენტთა მხატვრულ თვითშემოქმედებაში. ჩვენთან ამჟამად მუშაობს 6 თვითშემოქმედებითი წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 250-ზე მეტი სტუდენტი, მათ შორის ქორეოგრაფიულ წრეში—45, დრამატიულ წრეში—40, მომღერალთა გუნდში—120, სიმფონიურ ორკესტრში—48 და ვოკალისტთა წრეში—10 სტუდენტი.

ეს წრეები მუშაობენ წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული ახალი გეგმა-პროგრამით, რომლის წარმატებით შესრულებისათვის წრეებში გაერთიანებულ სტუდენტთა უმეტესობა სრული პასუხისმგებლობით მუშაობს. სტუდენტებს უყვართ უნივერსიტეტი, იბრძვიან მისი სახელის დასაცავად. ამიტომ დიდი ხალისით მუშაობენ ახალი პროგრამის სრულყოფაზე. სასიამოვნოა, რომ სტუდენტები ა. დიასამიძე (ისტორიის ფაკულტეტი), ო. გობრონიძე, ნ. გიორგაძე (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი), ქ. მელიქაძე (აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი), გ. ჩხეიძე (დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი) და სხვები წარმატებით მუშაობენ ქორეოგრაფიულ წრეში (წრის ხელმძღვანელი ქორეოგრაფი ჭოხონელიძე). სისტემატიურად ესწრებიან წრის მეცადინეობებს, სანიმუშონი არიან ყველასათვის. მაგრამ ცუდი ისაა, რომ წრის ყველა წევრი როდი იძლევა მუშაობისა და დისციპლინის ასეთ კარგ მაგალითებს. არიან ზოგიერთნი, რომლებიც ნორმალურ მუშაობაში ხელს უშლიან დანარჩენებს. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი ც. კუხიანიძე თითქმის სისტემატურად არ ესწრება წრის მეცადინეობას. ფაკულტეტის კომკავშირულმა ორგანიზაციამ იგი არაერთხელ გააფრთხილა, მაგრამ ის დღესაც განაგრძობს წრის მეცადინეობის გაცდენას.

სამწუხაროდ ც. კუხიანიძე მარტო როდია, მას ჰყავს თავისი ამხანაგები—ლ. ჩხეიძე (აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი), გ. ბუგიანიშვილი და ნ. ხუხია (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები) ნ. მაჭავარიანი (ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი).

წრის წევრ-სტუდენტთა დასწრების საქმეში არასახარბიელო სურათი გვაქვს სიმფონიური ორკესტრის წრეშიც.

მთელი რიგი სტუდენტებისა უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას: მათ ავიწყდებათ, რომ ისინი წევრები არიან სტუდენტთა პირველი სიმფონიური ორკესტრისა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში. სისტემატურად აცდენენ მეცადინეობებს—მ. ილურიძე, რ. მორჩილაძე, ზ. ქაჯაია (ფილოლოგიის ფაკულტეტი) ე. რუსიშვილი (დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი) თ. გორელიშვილი (აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი).

ეს სტუდენტები მეცადინეობებზე დასწრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თვლიან საჭიროდ, როცა ორკესტრი სხვაგან წასასვლელად ემზადება... ცხადია, ისინი საზოგადო დავალებისადმი ასეთი დამოკიდებულებით შორს ვერ წავლენ.

აქვე არ შეიძლება არაფერი ვთქვათ მომღერალთა გუნდის შესახებ. 1953 წლის სექტემბრიდან ეს გუნდი არ არსებობდა, მხოლოდ 1954 წლის მარტში აღდგა იგი. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ბევრი მეცადინეობა არაა ჩატარებული, მთელმა რიგმა სტუდენტებმა უკვე „გამოიჩინეს“ თავი მეცადინეობების გაცდენით... მაგალითად, მომღერალთა გუნდის მეცადინეობებს ხშირად აცდენენ: დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი ც. ფერაძე, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები ვ. გერსამია, თ. ჩხეიძე, თ. ბერიძე, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ქ. აბრამია, თ. ცინცაძე, ნ. გულბანი, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტიდან — ო. ქავთარაძე, ო. ჯანელიძე, თ. პავლიაშვილი; ფიზიკის ფაკულტეტიდან—ჟ. ბოჭორიშვილი, დ. დგებუაძე, ბ. ლაბარტყავა, ჯ. გუჯაბიძე; ისტორიის ფაკულტეტიდან — ვ. კორტავა, ეკონომიკის ფაკულტეტიდან—გ. ავალიანი, ვ. ურუშაძე, ე. ნიკოლაძე და სხვები. საჭიროა, ფაკულტეტის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გადამწყვეტი ზომები მიიღონ აღნიშნული ამხანაგების მიმართ, რათა ხელი შევუწყოთ გუნდის ხელმძღვანელს ახალი რეპერტუარის განხორციელებაში.

ამჟამად თვითშემოქმედებითი წრეების წინაშე დგას დიდი ამოცანა: ჩვენ გველის რაიონული, შემდეგ საქალაქო და რესპუბლიკური ოლიმპიადები. საჭიროა საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რათა საპატიო ადგილი მოვიპოვოთ აღნიშნულ ოლიმპიადებში.

**ო. თენეიშვილი,**
ალკკ კომიტეტის წევრი.

# უნივერსიტეტის ლექტორიუმში

ჩვენი უნივერსიტეტის ლექტორიუმში აპრილის თვეში მოხსენებებს წაიკითხავენ:

24 აპრილს, პროფ. ნ. იაშვილი — „თბილისის საგარეუბნო ზონის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებათა შუქზე“.

25 აპრილს, დოც. ს. ინწკირველი — „წინაალმდეგობათა ხასიათი სოციალიზმის დროს“.

სხდომები შედგება № 93 აუდიტორიაში, დასაწყისი 3 საათზე. დასწრება თავისუფალია.

რედაქტორი **ირ. ვეშაპიძე**

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-28-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია, უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 02922.